საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF SOCIAL AND POLITICAL SCIENCES

N 14/30
01/06/2020

14-30-4-202006011513

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის ბრძანება

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დასკვნითი გამოცდებისა და საბაკალავრო და სამაგისტრო დაცვების ჩატარების შესახებ

ვბრძანებ:

1. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დასკვნითი გამოცდები და საბაკალავრო და სამაგისტრო დაცვები განხორციელდეს მხოლოდ LMS და e-learning აკადემიური პლატფორმებისა და ZOOM -ის მეშვეობით;

2. დასკვნითი გამოცდების ჩატარების ფორმატი:

1) ზეპირი გამოცდა "ზუმში" ბილეთებით, ან/და პრეზენტაცია: 1 სტუდენტის გამოკითხვა - მინიმუმ 20 წუთი;
2) წერითი გამოცდა ბილეთებით: ერთი ბილეთი - მინიმუმ 4 საკითხით ბაკალავრებისთვის და მინიმუმ 2 საკითხით მაგისტრანტებისთვის; გამოცდის ხანგრძლივობა - 2 სთ, საკითხების დამატების შემთხვევაში - 3 სთ;
3) ღია, ან კომბინირებული (დახურული და ღია) კითხვები/ტესტები, გამოცდის ხანგრძლივობა მაქსიმუმ 1, 5 – 2 სთ.;
4) რეფერატი/ესე: 2-8 გვ., ერთდღიანი ფორმატი, მაქსიმუმ 6 სთ, მოწმდება პლაგიატზე.

3. დამატებითი გამოცდა ჩატარდეს მხოლოდ „ზუმში". 1 სტუდენტის გამოკითხვა - მინიმუმ 20 წთ.

დამატებით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: ფორმა #100, სამხედრო სამსახური, დაუძლეველი პირობა;

ილია ჭავჭავაძის გამზ. 8, 0179 თბილისი, საქართველო
8, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.social.tsu.ge
ტელეფონი: +(995 32) 229 05 94 Tel.
ფაქსი: +(995 32) 229 05 94 Fax
ელ-ფოსტა: social@tsu.ge; E-mail

4. ლექტორებმა საგამოცდო ტესტები/ბილეთები უნდა წარმოადგინონ მიმდინარე წლის 15 ივნისის ჩათვლით, კერძოდ:

- ტესტის 4 ვარიანტი;
- 15 ბილეთი საბაკალავრო საგნისთვის;
- 10 ბილეთი სამაგისტრო საგნისთვის.

5. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმატი:

1) **დაცვის გარეშე** - ელექტრონულად: შეფასების კრიტერიუმები იხილეთ: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/el%20dacva.pdf

ამ ფორმატში დაცვა ხორციელდება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

"პოლიტიკის მეცნიერება","საზოგადოებრივი გეოგრაფია", "დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია", "კონფლიქტების ანალიზი და მართვა", "კულტურისა და მედიის სოციოლოგია","ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება"

2) **დაცვა "ZOOM" პლატფორმის მეშვეობით:** შეფასების კრიტერიუმები იხილეთ: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/MA%20dacvis%20cesi%202020.pdf

"ზუმში" დაცვის ხანგრძლივობა: 20წთ. პრეზენტაცია + 10წთ. დისკუსია.

ამ ფორმატში დაცვა ხორციელდება შემდეგ სამაგისტრო პროგრამებზე:

„სოციოლოგია", "სოციალური მუშაობა", "სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა", "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა", "ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის კვლევები"," მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევები", "ევრაზიისა და კავკასიის კვლევები", "გენდერის კვლევები";

შენიშვნა: სტუდენტისთვის დაუძლეველი პირობების შემთხვევაში, მისი სამაგისტრო ნაშრომის შეფასება განხორციელდება დაცვის გარეშე - ელექტრონულად.

6. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს დაინტერესებულ პირთათვის ბრძანების გაცნობა;

7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

თამარ დოლბაია,

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანი , ასოცირებული პროფესორი

თამარ დოლბაია

დეკანი
ადმინისტრაცია